

# საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი



მოგესალმებით  
და გაგაცნობთ  
საქართველოს  
ზრდასრულთა განათლების  
ქსელის (GAEN) მიერ  
მიმდინარე პერიოდში განეული  
მუშაობისა და საინტერესო  
მოვლენების შესახებ

**vhs**  
DVV International

*N2*  
*2018*

## ნომერშია:

- ზრდასრულთა განათლების 2018 წლის საუკეთესონი **2**
- Dv-international-ის სტუმრების ვიზიტი GAEN-ში **4**
- სასწავლო ვიზიტი ბავარიაში **5**
- ტრენერთა ტრენინგი კოდისა და შაუმიანის სათემო განათლების ტრენერებისთვის **7**
- სასწავლო ვიზიტი ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში **9**
- DVV International-ის რეგიონული შეხვედრა სტამბულში **10**

# ზრდასრულთა განათლების 2018 წლის საუკეთესონი

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა (GAEN) 30 ნოემბერს 2018 წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა, რომელშიც არაფორმალური განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები და საქართველოს რეგიონებში მოქმედი ზრდასრულთა განათლების ცენტრები მონაწილეობდნენ. ღონისძიებაზე ზრდასრულთა განათლების წლის საუკეთესო ცენტრი და ზრდასრულთა განათლების თემაზე შექმნილი წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი გამოვლინდა.

ღონისძიება საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა თამარ ჭაბუკიანმა გახსნა. სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV international საქართველოს ოფისის დირექტორმა ლალი სანთელაძემ მოკლედ ისაუბრა ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობაზე და ცენტრების როლსა და წარმატებაზე რეგიონებში. მათი განვითარების პერსპექტივას შეეხო თავის გამოსვლაში DVV international საქართველოს ოფისის წარმომადგენელი დავით ჯიქია, რომელმაც ახლო მომავალში ზრდასრულთა განათლების კიდევ ორი ცენტრის გახსნა



დააანონსა.

ცენტრების მიერ 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ წლის საუკეთესო ცენტრი დასახელდა. იგი აღმოჩნდა კოდის სა-

თემო განათლების ცენტრი მადონა ოქროპირიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ამ გამარჯვებისთვის მადლობა გადაუხადა ცენტრის თანამშრომლებს, დონორებსა და ყველა თანამდგომს.



ლონისძიება ზრდასრულთა განათლების თემაზე შექმნილი წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოვლენით დასრულდა. იგი ეკუთვნის „mastswavlebeli.ge“ ჟურნალისტ შორენა ტყეშელაშვილს, რომლისთვისაც „ეს ჯილდო (როგორც თავად აღნიშნა) სრულიად მოულოდნელი იყო და მაინსპირირებელი გახდება ზრდას-

რულთა განათლებაზე კიდევ უფრო მეტის შეტყობისა და მუშაობისათვის“.

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV international საქართველოს ოფისის დირექტორის ქალბატონ ლალი სანთელაძის თქმით, DVV-ს მიერ მხარდაჭერილი ეს ლონისძიება - წლის შედეგების შეჯამე-

ბა და საუკეთესო ცენტრის გამოვლენა - ხელს უწყობს ზრდასრულთა განათლების, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტატუსის ამაღლებას და საზოგადოების, მედიისა და სახელისუფლებო სტრუქტურების ცნობიერების გაზრდას ზრდასრულთა განათლებაში. იგი გაიმართება ყოველწლიურად და გამოავლენს ზრდასრულთა განათლების წლის





საუკეთესო ცენტრს, საუკეთესო ტრენერ-პედაგოგს და საუკეთესო ზრდასრულ ბენეფიციარს, რომლებიც სასწავლო ვიზიტით გაემგზავრებიან გერმანიაში.

ლონისძიების მონაწილეთათვის სასტუმრო „ბეტისი“ საკონფერენციო დარბაზში წარმოდგენილი იყო ათივე ცენტრის მიერ სახელობო კურსებისა და მცირე ბიზნესის ფარგლებში შექმნილი პროდუქცია. თეჯა, ქვილთი, საიუველირო, ხის და სხვა ხელნაკეთი ნივთები, სუვენირები და აქსესუარები შესრულების ხარისხით, გემოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

## DVV-international-ის სტუდენტების ვიზიტი GAEN-ში

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარების მიმართულებით კვლავაც აქტიურად მუშაობს. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში GAEN სხვადასხვა დელეგაციებს მასპინძლობს და საკუთარ მიღწევებსა და გამოცდილებას უზიარებს. 8 მაისის ვიზიტის შემდეგ, რომელზეც საინფორმაციო ბიულეტენის წინა ნომერში უკვე გაამბეთ, (GAEN) 18 ივლისს ესტუმრნენ გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) წარმომადგენლები და მათი პარტნიორი ორგანიზაციები ტაჯიკეთიდან, ხოლო 18 ოქტომბერს - ყირგიზეთიდან და უზბეკეთიდან.



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა თამარ ჭაბუკიანმა ქსელის საქმიანობა გააცნო მათ და GAEN-ის დაარსების ისტორიისა თუ მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.



პრეზენტაციის ფარგლებში მან იმ გამონვევებზეც ისაუბრა, რომელიც საქართველოში ზრდასრულთა განათლების მიმართულებით დგას.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოხატეს ქსელის კონკრეტული აქტივობების მიმართ და იმ გამონვევებისა და სირთულეების შესახებ დასვეს კითხვები, რასაც ქსელი თავის საქმიანობაში აწყდება. განსაკუთრებით კი სამთავრობო სექტორის ჩართულობითა და მხარდაჭერის ხარისხით დაინტერესდნენ GAEN-ის პროექტებში.

ვიზიტის ფარგლებში DVV International-ის სხვადასხვა ქვეყნების ოფისების წარმომადგენლებმა ლელიანის, კოდის, ჯვარის სათემო განათლების ცენტრები მოინახულეს და მათ საქმიანობას ადგილებზე გაეცნენ.

საერთაშორისო დონეზე გამოცდილების

გაზიარების მიმართულებით მუშაობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სფეროში მოღვაწე ორგა-



ნიზაციების გაძლიერებას და მეორე მხრივ - სამომავლო თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესაძლებლობებს ქმნის.

## სასწავლო ვიზიტი გავარიაში



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი 25-30 ივლისს ბავარიაში დაგეგმილ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა. აღნიშნული ვიზიტი DVV International საქართველოს ოფისის ორგანიზებით ჩატარდა და მასში GAEN-ის წევრი ზრდასრულთა



განმანათლებლო და საერთაშორისო პროექტებს გაეცნენ. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ენახათ გერმანული ზრდასრულთა განათლების ცენტრების აღჭურვილობა, რომელიც საგანმანათლებლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო გერმანიის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებიც ზრდასრულთა განათლების თემაზე. სასწავლო ვიზიტის მონაწილეები შეხვდნენ ბავარიის პარლამენტის წევრს გერჰარდ ჰოფოს და ქამის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს, ფრანც ლოეფლერს, რომლებთანაც ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის საკითხები განიხილეს. შეხვედრები გაიმართა ასევე დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელთან, ალექსანდრე პაუზერთან, რომელმაც ქამის ზრდასრულთა განათლების ცენტრთან ერთად განხორციელებული პროექტები და აქტივობები წარადგინა.

და სათემო განათლების ცენტრების დირექტორები და მუნიციპალიტეტების მერები მონაწილეობდნენ საქართველოს იმ რეგიონებიდან, სადაც ეს ცენტრები ფუნქციონირებს. სასწავლო ვიზიტის მიზანი ზრდასრულთა განათლების სფეროში მოღვაწე აქტორების შესაძლებლობების გაძლიერე-

ბა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება იყო ზრდასრულთა განათლების საკითხებზე. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები ქამისა და მიუნხენის ზრდასრულთა განათლების ცენტრებს ეწვივნენ და მათ საქმიანობას, სტრატეგიულ მიმართულებებს, სა-



# ტრენინგის ტრენინგი კოდისა და უზუნიანის სათემო განათლების ტრენინგისთვის

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის სტრატეგიულ მიმართულებას ქსელის წევრი ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს. ტრენინგის თემატიკა თავად ქსელის წევრი ცენტრების პრიორიტეტების მიხედვით შეირჩა. ცენტრებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი მათი ტრენინგების გადამზადებაა სწავლების მე-

მანანა გაბუნია და თეა ტყემალაძე უძღვებოდნენ.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს იმის თაობაზე, თუ რა ძირითადი მახასიათებლები აქვს ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებას, რისი გათვალისწინებაა საჭირო ზრდასრულებთან მუშაობისას და როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მახასიათებლები უკეთესი შედეგების მისაღწევად. მონაწილეები



თოდოლოგიაში. ამ მიზნით, GAEN-ის დაკვეთითა და თანამონაწილეობით, შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელიც ქსელის წევრი ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრების სპეციფიკაზეა მორგებული და სწავლების პროცესში საჭირო მეთოდოლოგიასა და ტექნიკურ საკითხებს მოიცავს.

**28-29 სექტემბერს კოდის სათემო განათლების ცენტრში GAEN-ის ორგანიზებით კოდისა და უზუნიანის სათემო განათლების ცენტრების ტრენინგისთვის ტრენინგის ტრენინგი TOT ჩატარდა, რომელსაც 16 მონაწილე ჰყავდა. მას ტრენინგები**

სწავლების ინტერაქციულ მეთოდებსაც გაეცნენ. ცენტრის თანამშრომლების სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება კეთებით სწავლებაზე გამახვილდა და მისი ჩატარებისათვის საჭირო მეთოდებს დაეთმო; გაერკვნენ მიზნებისა და გეგმების მნიშვნელობაში სწავლების პროცესისათვის; თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს სასწავლო კურსი. მათ პრაქტიკულად გამოსცადეს და შესაბამისი რეკომენდაციებიც მიიღეს კურსის მოდელირებულ გეგმასთან დაკავშირებით. მონა-



წილებმა ისწავლეს თუ რა როლი და ფუნქციები აქვს უკუკავშირს სწავლების პროცესში, გაეცნენ სწორი უკუკავშირისათვის საჭირო ელემენტებს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ასევე კომუნიკაციისა და სტერეოტიპული აზროვნების საკითხებზე და გაიგეს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს ცოდნა სწავლების პროცესში. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა რეფლექსიის საკითხები. მონაწილეები, ერთი მხრივ, გაეცნენ რეფლექსიის მნიშვნელობას სწავლების პროცესში და, მეორე მხრივ, ადგილზე გამოსცადეს ეს პროცესი. ტრენინგზე ჩატარებული რეფლექსია მათ დაეხმარა მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებასა და გაანალიზებაში, რაც სამომავლოდ მათ მიერ ჩატარებული სასწავლო კურსების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მონაწილეები ორდღიანი ტრენინგის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული და ამ ხნის განმავლობაში არაერთი პრაქტიკული რჩევა და გამოცდილება მიიღეს.

წილებმა ისწავლეს თუ რა როლი და ფუნქციები აქვს უკუკავშირს სწავლების პროცესში, გაეცნენ სწორი უკუკავშირისათვის საჭირო ელემენტებს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ასევე კომუნიკაციისა და სტერეოტიპული აზროვნების საკითხებზე და გაიგეს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს ცოდნა სწავლების პროცესში. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა რეფლექსიის საკითხები. მონაწილეები, ერთი მხრივ, გაეცნენ რეფლექსიის მნიშვნელობას სწავლების პროცესში და, მეორე მხრივ, ადგილზე გამოსცადეს ეს პროცესი. ტრენინგზე ჩატარებული რეფლექსია მათ დაეხმარა მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებასა და გაანალიზებაში, რაც სამომავლოდ მათ მიერ ჩატარებული სასწავლო კურსების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მონაწილეები ორდღიანი ტრენინგის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული და ამ ხნის განმავლობაში არაერთი პრაქტიკული რჩევა და გამოცდილება მიიღეს.





# სასწავლო ვიზიტი ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში



**15-16 ოქტომბერს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით სასწავლო ვიზიტი შედგა ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში.** მასში GAEN-ის წევრი ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრების დირექტორები და მათი თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ქსელის შიდა სასწავლო ცენტრებში ვიზიტების მიზანი თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება და ქსელში გამოცდილების გაზიარებაა. ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დათვალიერებასა და გაცნობასთან ერთად ვიზიტორი ცენტრების წარმომადგენლები მის ბაზაზე არსებულ სოციალურ საწარმოსაც გაეცნენ.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები გახლდათ ქსელის წევრი ორგანიზაციების საჭიროებების გამოვლენის სესია, სამუშაო შეხვედრა და მასტერკლასი

პროექტების წერის საკითხებზე.

საჭიროებათა ანალიზის სესია ქსელის წევრი ორგანიზაციების სუსტი მხარეების გამოვლენას ისახავდა მიზნად. სესიის მეთოდოლოგია და ჩატარება **მკვლევარმა მაია კომახიძემ** უზრუნველყო. მონაცემები GAEN-ის მომავალი წლის პროგრამის შესადგენად და

აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რესურსების მოძიებაში დასახმარებლად გამოიყენება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ 2018 წლის რიგით მეორე სამუშაო შეხვედრაზე GAEN-ის დირექტორმა თამარ ჭაბუკიანმა იმ აქტივობების შესახებ ისაუბრა, რომელიც მიმდინარე წელს განახორციელა ქსელმა.



ასევე დეტალურად განიხილა წლის ბოლომდე დაგეგმილი აქტივობები და წვერი ორგანიზაციების როლი და ფუნქციები ამ ღონისძიებებში. შეხვედრის ფარგლებში ქსელის წვერი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სირთულეებსა და მიღწევებზე, რომელიც მოცემულ მომენტში მათ ცენტრებში აქვთ, მიიღეს რჩევები და სხვა ცენტრების გამოცდილებასაც გაეცნენ მსგავს სიტუაციებში მოქმედებასთან დაკავშირებით.

15 ოქტომბერს მასტერკლასი ჩატარდა თემაზე „პროექტების წერა“. აღნიშნული მიმართულება ქსელის წვერი ორგანიზაციებისთვის სენსიტიური საკითხია, რადგან დამატებითი ფონდების მოძიებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. თემატიკა თავად ცენტრების მოთხოვნით შეირჩა. მასტერკლასს **GAEN-ის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი** უძღვებოდა. მასტერკლასის მოდულის შედგენისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც ქსელის წვერი ორგანიზაციებს აქვთ და მიწოდებული ინფორმაციაც და აქტივობები სწორედ ამის მიხედვით იყო შერჩეული. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებმა რეკომენდაციები მიიღეს პროექტის

ნიზაციებისთვის სენსიტიური საკითხია, რადგან დამატებითი ფონდების მოძიებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. თემატიკა თავად ცენტრების მოთხოვნით შეირჩა. მასტერკლასს **GAEN-ის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი** უძღვებოდა. მასტერკლასის მოდულის შედგენისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც ქსელის წვერი ორგანიზაციებს აქვთ და მიწოდებული ინფორმაციაც და აქტივობები სწორედ ამის მიხედვით იყო შერჩეული. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებმა რეკომენდაციები მიიღეს პროექტის



წარდგენისას გასათვალისწინებელ საკითხებზე ქართული რეალობისა და ქვეყანაში წარმოდგენილი დონორი ორგანიზაციების სპეციფიკის გათვალისწინებით.

## DVV International-ის რეგიონული შეხვედრა სტამბულში

29-31 ოქტომბერს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი მონაწილეობდა DVV International-ის კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ქ. სტამბულში გაიმართა. შეხვედრაში რეგიონში შემავალი DVV International-ის ქვეყნების ოფისების დირექტორები და მათი პარტნიორი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ, რომელთაც თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშები წარადგინეს და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს; გა-

ნიხილეს ასევე შესაძლებლობები, რომელსაც აღნიშნული რეგიონი ქმნის და მაკრო და მეზო დონეებზე განსახორციელებელი აქტივობებიც დაგეგმეს, რომლებიც რეგიონში შემავალი ორგანიზაციების ინსტიტუციურ გაძლიერებასა და თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული აქტივობების კოორდინაციასა და ორგანიზებაში საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) აქტიურად ჩაერთვება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N8, II სართული

ტელეფონი: 2222584

ელ.ფოსტა: [info@gaen.org.ge](mailto:info@gaen.org.ge)

ვებ-გვერდი: [www.gaen.org.ge](http://www.gaen.org.ge)

რედაქტორი

რიტა ბაინდურაშვილი



ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.